სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/103

ქ. თბილისი 22 ივლისი 2026 წ.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიზაინის საერთაშორისო სკოლის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, 34-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის და 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ” დებულების შესაბამისად, სტუ-ის ვიცე-რექტორის, პროფესორ თამარ წერეთლის 2026 წლის 21ივლისის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 22 ივლისის სხდომის №01-05-02/12 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. წარედგინოს რექტორს წინადადება 2026/2027 სასწავლო წლიდან 4 წლის ვადით დიზაინის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვან პროგრამებზე აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) დასაკავებლად 2026 წლის 23 ივლისიდან ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე.

2. დამტკიცდეს დასაკავებელი აკადემიური თანამდებობების ჩამონათვალი დანართი 1-ის შესაბამისად.

3. დამტკიცდეს გამოსაქვეყნებელი განცხადება, საკონკურსო პირობები და კანდიდატის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი 2-ის შესაბამისად.

4. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის განაცხადის და ანკეტის ფორმები და აკადემიურ პერსონალთან დასადები ხელშეკრულების ფორმა (დანართი, 3, დანართი 4, დანართი 5).

5. საკონკურსო განცხადებების მიღება დაიწყოს 2026 წლის 24 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით.

6. კონკურსი ჩატარდეს 2026 წლის 07 სექტემბრიდან 09 სექტემბრის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის პირველადი შედეგები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2026 წლის 10 სექტემბრისა, შესაბამისი საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge.

7. კონკურსთან დაკავშირებით განცხადებები/საჩივრები საკონკურსო კომისიაში მიიღება 2026 წლის 11 სექტემბრიდან 14 სექტემბრის ჩათვლით.

8. აკადემიურ საბჭოში კონკურსის შედეგების დამტკიცების ვადა განისაზღვროს 2026 წლის 17 სექტემბერს.

9. აკადემიურ საბჭოს მიერ დამტკიცებული კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე https://gtu.ge/ არა უგვიანეს 2026 წლის 18 სექტემბრისა.

10. კონკურსში გამარჯვებულ პირებთან აფილირებისა და შრომითი ხელშეკრულებები დაიდოს 2026-2027 სასწავლო წლიდან.

11. კონკურსი ჩატარდეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად,

12. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე, მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

13. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**